

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5-33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მედლოგ ფოთის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მედლოგ ფოთის“ (შემდგომში – „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს-ი“) შესაბამისად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგებაზე დართულ მე-16 შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ამ საკითხს გავლენა არ მოუხდენია ჩვენს მოსაზრებაზე.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2021 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2021 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას

იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.


ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას. ჩვენ მართვის უფლებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 30 სექტემბერი

შპს „მედიკალ ფოთი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარში


	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	4,599,390	4,169,897
გაწეული მომსახურების ღირებულება	6	(3,104,546)	(2,408,055)
საერთო მოგება		1,494,844	1,761,842
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(887,310)	(733,674)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		607,534	1,028,168
ფინანსური შემოსავალი		21,171	11,275
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი		(50,040)	(25,629)
წმინდა საკუროსო (ზარალი)/შემოსულობა		(19,028)	(31,925)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		78,503	47,703
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(73,026)	(13,478)
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		21,114	(57,041)
დასაბეგრი მოგება		586,228	959,073
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		586,228	959,073
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდში მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება: მიწის გადაფასება	8	3,895,395	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		4,481,623	959,073



მუხრან დეკანაძე

მმართველი დირექტორი

2022 წლის 30 სექტემბერი



მარიამ სულაძე

ფინანსური მენეჯერი

შპს „მედლოგ ფოთი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარში

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	4,599,390	4,169,897
გაწეული მომსახურების ღირებულება	6	(3,104,546)	(2,408,055)
საერთო მოგება		1,494,844	1,761,842
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(887,310)	(733,674)
საოპერაციო მოგება		607,534	1,028,168
ფინანსური შემოსავალი		21,171	11,275
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი		(50,040)	(25,629)
წმინდა საკუთრო ზარალი		(19,028)	(31,925)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		78,503	47,703
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(73,026)	(13,478)
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		21,114	(57,041)
დასაბეგრი მოგება		586,228	959,073
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის წმინდა მოგება		586,228	959,073
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდში მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება: მიწის გადაფასება	8	3,895,395	–
მთლიანი სრული შემოსავალი		4,481,623	959,073

მუხრან დეკანაძე
მმართველი დირექტორი

მარიამ სულაძე
ფინანსური მენეჯერი

30 სექტემბერი, 2022 წ.

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	12,248,161	7,910,753
არამატერიალური აქტივები		4,107	5,179
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,252,268	7,915,932
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	125,187	76,662
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10	559,733	480,094
გადახდილი ავანსები		21,810	47,546
წმინდა საგადასახადო აქტივები, მოგების გადასახადის გარდა		19,389	167,086
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	609,559	331,249
სულ მიმდინარე აქტივები		1,335,678	1,102,637
სულ აქტივები		13,587,946	9,018,569
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,600	12,600
გაუნაწილებელი მოგება		8,843,945	8,257,717
გადაფასების ნამეტი		3,895,395	–
სულ საკუთარი კაპიტალი	12	12,751,940	8,270,317
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	–	375,614
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		–	375,614
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	195,880	90,067
სახელშეკრულებო ვალდებულებები		21,660	3,980
ნასესხები სახსრები	14	618,466	278,591
სულ მიმდინარე ვალდებულებები		836,006	372,638
სულ ვალდებულებები		836,006	748,252
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		13,587,946	9,018,569

5-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მედიკო ფოთი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწი- ლებელი მოგება	გადაფასების ნამეტი	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	12,600	7,298,644	–	7,311,244
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	959,073	–	959,073
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,600	8,257,717	–	8,270,317
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	586,228	–	586,228
მიწის გადაფასება (მე-8 შენიშვნა)	–	–	3,895,395	3,895,395
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,600	8,843,945	3,895,395	12,751,940

5-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მედლოგ ფოთი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარში

	შენიშვნა	2021	2020
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები დასაბეგრი მოგება		586,228	959,073
<i>კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	528,858	398,742
წმინდა (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(21,114)	57,041
სხვა არაფულადი ოპერაცია		(5,477)	(32,778)
ფინანსური შემოსავალი		(21,171)	(11,275)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი		50,040	25,629
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი		(35,739)	40,619
		1,081,625	1,437,051
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(48,525)	23,905
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		(79,639)	(344,693)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		105,813	46,927
ცვლილება გადახდილ ავანსებში		25,736	(33,051)
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში		17,680	(26)
ცვლილება საგადასახადო აქტივებსა და საგადასახადო ვალდებულებებში, მოგების გადასახადის გარდა		147,697	(266,842)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		168,762	(573,780)
მოგების გადახდილი გადასახადი		(11,312)	(8,694)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		21,171	11,275
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,260,246	865,852
საინვესტიციო საქმიანობა			
შემოსავალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან		40,127	94,375
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(988,810)	(1,276,844)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(948,683)	(1,182,469)
ფინანსური საქმიანობა			
გადახდილი პროცენტი*	13	(5,050)	(3,849)
ნასესხები სახსრები	13	–	610,000
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(5,050)	606,151
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		306,513	289,534
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	11	331,249	38,956
სავალუტო კურსის მოძრაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(28,203)	2,759
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	609,559	331,249

* 44,990 ლარის გადასახდელი პროცენტი გაიქვითა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ სავაჭრო მოთხოვნებთან 2021 წლის განმავლობაში (2020 წ.: 21,780 ლარი).

5-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „მედლოგ ფოთი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 1996 წლის 13 მარტს შპს „ბარვილ ჯორჯიას“ სახელით და საიდენტიფიკაციო ნომრით: 215083139. 2019 წლის 27 დეკემბერს კომპანიის იურიდიული სახელწოდება გადაკეთდა და გახდა შპს „მედლოგ ფოთი“.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ტაბიძის ქ.3, ფოთი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტერმინალის, კონტეინერების დამუშავების (დატვირთვა, ჩამოცლა) და შენახვის მომსახურების გაწევა. კომპანია ფლობს და მართავს 6.94 ჰექტარი ფართობის მქონე ტერმინალის სივრცეს, რომელიც ფოთის პორტის მთავარი შესასვლელიდან 200 მეტრში მდებარეობს, რის შედეგადაც არის პორტთან ყველაზე ახლოს მდებარე ტერმინალი.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციებს ფლობს შპს „მედლოგ დეველოპმენტ ჯორჯია“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). მშობელი კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა:

„მედლოგ ეს.ეი.“ (შვეიცარია)	50%
შპს „ინვეკო“ (საქართველო)	50%
	100%

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო „MSC Mediterranean Shipping Company SA“ (ხმელთაშუაზღვის გადაზიდვის კომპანია).

მშობელმა კომპანიამ კომპანიაში წილი შეისყიდა 2019 წლის 27 დეკემბერს შპს „Barwil Agencies A.S.-ისგან“ (ნორვეგია) (50%) და TEE and TEE Shipping Limited-ისგან (დიდი ბრიტანეთი) (50%).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერის მიერ. აქციონერს შეუძლია ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა მიწისა, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

კომპანიამ აღრიცხული ძირითადი საშუალებები გადააფასა, კერძოდ ძირითადი საშუალებების გარკვეული კლასის ღირებულება ხელახლა განსაზღვრა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. კომპანიას მანამდე ძირითადი საშუალებების ყველა ერთეული აღიარებული ჰქონდა თვითღირებულების მოდელით, რომლის მიხედვითაც, ძირითად საშუალებებად კლასიფიცირებული აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ აქტივი აღირიცხებოდა მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

2021 წლის 19 ნოემბერს კომპანიამ არჩია ფოთში ძირითად საშუალებებად კლასიფიცირებული მიწის აღრიცხვის მეთოდის შეცვლა, ვინაიდან კომპანიას მიაჩნია, რომ გადაფასების მოდელი უფრო რელევანტურ ინფორმაციას აძლევს თავისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, ვინაიდან უფრო შესაბამისობაშია თავისი კონკურენტების მიერ მიღებულ პრაქტიკასთან. გარდა ამისა, ხელმისაწვდომი შეფასების მეთოდები საიმედოდ აფასებს მიწის სამართლიან ღირებულებას. ბასს 8.17 და ბასს 8.18-ის თანახმად, როდესაც კომპანია ცვლის ძირითადი საშუალებების შეფასების თვითღირებულების მეთოდს ჩაანაცვლებს სამართლიანი ღირებულებით, ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში აღირიცხება პერსპექტიულად და ამ ცვლილებას სააღრიცხვო პოლიტიკაში არ შეეხება მოთხოვნა პოლიტიკის რეტროსპექტიულად გამოყენებისა და ბასს 8.28-ბასს 8.31-ის შესაბამისად დეტალური განმარტებების წარმოდგენის შესახებ. აქედან გამომდინარე, კომპანიამ სააღრიცხვო პოლიტიკის ეს ცვლილება მიწის შეფასებისთვის პერსპექტიულად გამოიყენა გადაფასების მოდელზე.

ბ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას კლიენტისთვის დაპირებული მომსახურების გადაცემით. სახელშეკრულებო ვალდებულების დაკმაყოფილებისას კომპანია შემოსავლად აღიარებს იმ თანხას, რომელიც ასახავს საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოიპოვებს ამ მომსახურების კლიენტისთვის გადაცემით. კრედიტის ვადა, ჩვეულებრივ, მომსახურების გადაცემიდან 1-დან 30 დღემდეა.

კომპანია შემოსავალს ბრუტოს საფუძველზე აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს მომხმარებლისთვის მის გადაცემამდე. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებში, ზოგადად, იგი პრინციპულად გამოდის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

(i) მომსახურების გაწევა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კონტეინერების დატვირთვა, შენახვა და ჩამოცლა და სხვა სატერმინალო მომსახურება.

გაწეული მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას კლიენტისთვის დაპირებული მომსახურების გადაცემით. კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურება სრულდება დასაწყობების მომსახურების გაწევის განმავლობაში. შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, ამოსავალი მონაცემების მეთოდის გამოყენებით, რომლითაც ფასდება პროგრესი მომსახურების სრულად შესრულებამდე, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიწოდებულ სარგებელს. დატვირთვის, ჩამოცლის, გადატვირთვის და სხვა სატერმინალო მომსახურება გაიწევა დროის გარკვეულ მომენტში, ხოლო შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც სრულდება მომსახურება. მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

კომპანია არ აკორექტირებს ანაზღაურების დაპირებულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის ეფექტის შესაბამისად, ვინაიდან, ხელშეკრულების გაფორმებისას, ვადა მომხმარებლისთვის საწარმოს მიერ დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემასა და მომხმარებლის მიერ საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდას შორის ვადა, მაქსიმუმ, ერთი წელია.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი არის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ მათი ღირებულების მიღების უფლება. თუ კომპანია მომხმარებელს მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება მიღებული პირობითი ღირებულებისთვის. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ასეთ ფინანსურ აქტივებს არ ფლობს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება, თუ ანაზღაურების თანხა უპირობოდ არის მისაღები მომხმარებლისგან (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის მომსახურებას. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გ) მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

დ) უცხოური ვალუტები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში – ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა, ვინაიდან ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ გარიგებებს კომპანია თავდაპირველად აღრიცხავს ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დ) უცხოური ვალუტები (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი გარიგებების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანიამ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ე) გადასახადები

(ii) მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი გადაიხდება დივიდენდებზე და დაირიცხება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ე) გადასახადები (გაგრძელება)

(iii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ის) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღგ აქტივის (ანაზღაურებადი დღგ) ან ვალდებულების ნაწილში.

(iv) წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო დავალიანებასთან (მოგების გადასახადის გარდა) დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ვ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები, მიწის გარდა, აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანიის მიერ აგებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

მიწა ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია გადაფასების თარიღის შემდეგ. შეფასება ხდება საკმარისი სიხშირით, რომ გადაფასებული აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი სამართლიანი ღირებულებისგან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გადაფასების ნამეტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში და კრედიტდება აქტივის გადაფასების ნამეტში საკუთარ კაპიტალში. თუმცა თუ იგი აღადგენს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რაც მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იყო აღიარებული, ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია აქტივის გადაფასების ნამეტში.

აქტივების გადაფასების ნამეტიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის აკუმულირებული ცვეთა ელიმინირდება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების ნამეტი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულის მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

(ii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადა ასეთია:

- ▶ შენობები და მოწყობილობები 30-40 წელი;
- ▶ მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 6-16 წელი;
- ▶ ავტოსატრანსპორტო საშუალებები 3-10 წლამდე
- ▶ ავეჯი და მოწყობილობები 3-5 წელი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ზ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება. შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების ორიდან ხუთ წლამდე საშუალო ვადაზე. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს შემდეგი შეფასების კატეგორიების მიხედვით:

- ▶ აქტივები, რომლებიც შემდგომში უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით (სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან მოგებაში ან ზარალში ასახვით); და
- ▶ აქტივები, რომლებიც უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელზე და ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადებზე.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივების შემთხვევაში, შემოსულობა და ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. სავაჭრო მიზნით არსებულ წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტირების შემთხვევაში, აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, გააკეთა თუ არა კომპანიამ გამოუთხოვადი მითითება პირველადი აღიარებისას, რომ კაპიტალის ინვესტიცია აუცილებლად უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

კომპანია სასესხო კაპიტალის ინვესტიციების რეკლასიფიკაციას ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება კომპანიის ასეთი აქტივების მართვისთვის განკუთვნილი ბიზნესმოდელი.

შეფასება

პირველადი აღიარებისას კომპანია ფინანსურ აქტივებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს, რასაც ემატება ფინანსური აქტივის შემენასთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ეს ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

სასესხო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც იმართება აქტივი და ამ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს თავისი სასესხო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია.

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობილი აქტივები, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული აქტივი წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ამგვარი ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. აქტივის აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ მოგებაში ან ზარალში და აისახება სხვა შემოსულობაში/(ზარალში), საკურსო სხვაობიდან მიღებულ შემოსულობასა და ზარალთან ერთად. გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია ცალკე მუხლის სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მუხლში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარება, ძირითადად, მაშინ წყდება (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღარ აისახება), როდესაც:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული ყველა ფინანსური აქტივისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად კომპანია გამარტივებულ მეთოდს იყენებს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგებაში ან ზარალში.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან და ნასესხები სახსრებისგან, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების და მოგებაში ან ზარალში აღიარების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფინანსური აქტივებთან ან ფინანსური ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიხების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, კომპანია ფულად ნაკადებს აფასებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ მხედველობაში არ იღებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის განზრახვა, რათა ერთდროულად მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მარკეტინგებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ გაუფასურებით გამოწვეული უკვე აღიარებული ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

კ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით მიღებულ შესყიდვის ღირებულებას და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

ლ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში განთავსებული პროცენტიანი მიმდინარე ანგარიშებისგან, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, დაუფარავი საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით, ვინაიდან ისინი მიიჩნევა კომპანიის ნაღდი ფულის მართვის განუყოფელ ნაწილად.

მ) ფულადი დივიდენდი

კომპანია დივიდენდის გადახდის ვალდებულებას აღიარებს მაშინ, როდესაც დივიდენდის განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების საგანი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, დივიდენდების განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მას ამტკიცებენ მფლობელები. შესაბამისი თანხის აღიარება პირდაპირ კაპიტალში ხდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, აღწერილია ქვემოთ. ეს სტანდარტები და ინტერპრეტაციები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ აღიარება და შეფასება, წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები - ცვლილებები ფასს (IFRS) 17-ში „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ - ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში;
- ▶ „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში;
- ▶ ძირითადი საშუალებები: „შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე“ – ცვლილებები ბასს 16-ში;
- ▶ „წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯები“ – ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში;
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს
- ▶ ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები - ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“;
- ▶ გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას - ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა“;

4. შეფასებები, მოსაზრებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ ვარაუდს და განსჯას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებები, მოსაზრებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

კომპანიას აქვს მხოლოდ სავაჭრო დებიტორული დავალიანება დაფინანსების კომპონენტის გარეშე, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია. კომპანია ყველა თავისი სავაჭრო დებიტორული დავალიანების მიმართ იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ფასს 9-ით დაშვებულ გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი ზედმეტი დანახარჯების თუ ძალისხმევის გაწევის გარეშე, წარსული მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ.

5. შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი ტერმინალის ფუნქციონირებიდან		
შენახვა	1,733,979	1,407,370
დატვირთვა	1,513,661	1,766,067
კონტეინერის ჩამოცლა და გადმოტვირთვა	948,487	501,141
სხვა სატერმინალო მომსახურება	415,406	327,265
	4,611,533	4,001,843
შემოსავალი მანქანის დაშლის ოპერაციებიდან	–	177,342
მთლიანი შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	4,611,533	4,179,185
ფასდაკლებები მომხმარებლებისთვის	(12,143)	(9,288)
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	4,599,390	4,169,897
დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურება	1,733,980	1,407,370
დროის გარკვეულ მომენტში მიწოდებული მომსახურება	2,865,410	2,762,527
სულ შემოსავალი	4,599,390	4,169,897

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. შემოსავალი (გაგრძელება)

შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მისაკუთვნიებულია დაკავშირებული მხარეებისთვის (მე-16 შენიშვნა).

სახელშეკრულებო ნაშთები

კომპანიამ შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები აღიარა:

	2021	2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-10 შენიშვნა)	559,733	480,094
სახელშეკრულებო ვალდებულებები	21,660	3,980

6. გაწეული მომსახურების ღირებულება

	2021	2020
შრომის ანაზღაურება და ხელფასები (მე-16 შენიშვნა)	1,518,291	1,259,324
ცვეთა (მე-8 შენიშვნა)	488,061	371,950
დაცვა-უსაფრთხოება და კომუნალური მომსახურება	440,091	328,195
ტერმინალის აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურება	324,113	237,766
საწვავი	138,873	95,197
ტრანსპორტირება	125,093	49,168
ტერმინალის დაზღვევა	44,199	31,219
ტერმინალის სპეცტანსაცმელი	15,200	17,340
ტვირთაშწის ქირა	175	12,026
სხვა	10,450	5,870
	3,104,546	2,408,055

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება და ხელფასები (მე-16 შენიშვნა)	454,302	366,063
პროფესიული მომსახურება	150,884	124,792
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	98,928	123,927
ქონების გადასახადი	58,102	52,259
ცვეთა და ამორტიზაცია	40,797	26,792
სადაზღვევო ხარჯები	13,305	3,704
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები	2,276	3,411
სხვა	68,716	32,726
	887,310	733,674

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მანქანა- დანად- გარები	შენობები და მოწყობი- ლობები	სატრან- სპორტო საშუა- ლებები	ავიჯი და მოწყობი- ლობები	სხვა	სულ
თვითღირებულება							
2020 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	4,649,898	2,207,992	844,330	396,563	55,531	56,102	8,210,416
შემოსვლები	-	635,081	435,018	66,259	84,305	56,181	1,276,844
გასვლები	-	(179,982)	-	(148,823)	(2,495)	(9,050)	(340,350)
2020 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	4,649,898	2,663,091	1,279,348	313,999	137,341	103,233	9,146,910
შემოსვლები	-	173,675	719,343	-	87,392	8,400	988,810
გასვლები	-	-	-	-	(17,238)	(5,911)	(23,149)
გადაფასების ნამეტი	3,895,395	-	-	-	-	-	3,895,395
2021 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	8,545,293	2,836,766	1,998,691	313,999	207,495	105,722	14,007,966
ცვეთა							
2020 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	-	(710,153)	(73,392)	(233,538)	(10,504)	(18)	(1,027,605)
წლის დანარიცხი	-	(255,438)	(66,725)	(33,854)	(22,152)	(19,317)	(397,486)
გასვლები	-	81,291	-	106,094	1,549	-	188,934
2020 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	-	(884,300)	(140,117)	(161,298)	(31,107)	(19,335)	(1,236,157)
წლის დანარიცხი	-	(311,074)	(124,928)	(25,267)	(40,414)	(26,101)	(527,784)
გასვლები	-	-	-	-	3,674	462	4,136
2021 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	-	(1,195,374)	(265,045)	(186,565)	(67,847)	(44,974)	(1,759,805)
წმინდა საბალანსო							
ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	4,649,898	1,778,791	1,139,231	152,701	106,234	83,898	7,910,753
2021 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	8,545,293	1,641,392	1,733,646	127,434	139,648	60,748	12,248,161

ფოთში მიწის გადაფასება

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ ფოთში არსებული მიწა შეადგენდა ძირითადი საშუალებების ცალკე კლასს, ქონების ხასიათიდან, თავისებურებებიდან და რისკებიდან გამომდინარე.

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა საბაზრო ფასებთან შედარების მეთოდის გამოყენებით. შეფასებები დამოუკიდებელმა შემფასებელმა ჩაატარა მსგავსი ხასიათის, ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის მქონე უძრავი ქონების გარიგების ფასების მონაცემთა კერძო ბაზების საფუძველზე. გადაფასების თარიღების, 2021 წლის 19 ნოემბრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით, უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულებები ეყრდნობა აკრედიტებული დამოუკიდებელი შემფასებლის – „კოლიერს ჯორჯიას“ მიერ ჩატარებულ შეფასებას, რომელიც საქართველოში მსგავსი უძრავი ქონების შეფასებას ატარებს 2016 წლიდან. ფოთში მიწის გადაფასებიდან მიღებული წმინდა სარგებელი 3,895,395 ლარის ოდენობით 2021 წელს აისახა სხვა სრულ შემოსავალში.

შეფასების მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები: დიაპაზონი
კვ. მ.-ის ფასი 41 - 45

ცალკე 1 კვ.მ.-ის ნავარაუდები ფასის მნიშვნელოვანი ზრდა (შემცირება) გამოიწვევდა მნიშვნელოვნად მაღალ (დაბალ) სამართლიან ღირებულებას, წრფივი ზრდის/კლების შედეგად.

საბალანსო ღირებულების შეჯერება

	000
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით*	4,650
მესამე დონის გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა, აღიარებული სააღრიცხვო პოლიტიკის გადაფასების მოდელით შეცვლის გამო 2021 წლის 19 იანვრის მდგომარეობით	3,895
საბალანსო ღირებულება და სამართლიანი ღირებულება 2021 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით	8,545
მესამე დონის გადაფასებიდან მიღებული ზარალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–
საბალანსო ღირებულება და სამართლიანი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,545

* კომპანიამ სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვალა ფოთში მიწის შეფასებასთან მიმართებით 2021 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით პერსპექტიულ საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ფოთში მიწის სამართლიანი ღირებულება არ იყო შეფასებული 2020 წლის 1 იანვრისთვის.

მიწა ფოთში თვითღირებულების მოდელით რომ შეფასებულიყო, საბალანსო ღირებულებები იქნებოდა:

000	2021
თვითღირებულება	4,650
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	–
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	4,650

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მოგებაში ან ზარალში აღიარებული ცვეთის ოდენობა:

	2021	2020
ასახული გაწეული მომსახურების თვითღირებულებაში	488,061	371,950
ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში	39,723	25,536
სულ ცვეთის ხარჯი	527,784	397,486

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2021	2020
საბურავები	50,007	10,388
საწვავი და ნავთობი	22,074	14,620
კაბელები	11,498	13,865
კონტეინერმზიდის სენსორი	8,829	8,829
ელექტროძრავა	4,830	9,322
ფილტრები	4,684	6,079
სხვა	23,265	13,559
სულ	125,187	76,662

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია ხარჯად, აისახა გაწეული მომსახურების თვითღირებულებაში და შეადგინა 154,073 ლარი (2020 წ.: 112,537 ლარი).

10. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

	2021	2020
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-16 შენიშვნა)	258,685	379,434
მოთხოვნები სხვა მხარეების მიმართ	301,048	100,660
სულ	559,733	480,094

კომპანიის საკრედიტო რისკზე გავლენას ძირითადად ახდენს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს ისეთ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის მომხმარებლების საკრედიტო რისკზე, მათ შორის კლიენტის საქმიანობის დარგისა და სამოქმედო ქვეყნის დეფოლტის რისკზე.

კომპანია არ მოითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონია ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება.

გადახდების ისტორიაზე დაყრდნობით და, სადაც შესაძლებელი იყო, შესაბამისი მომხმარებლების საკრედიტო რეიტინგების გაანალიზების შედეგად კომპანიას მიაჩნია, რომ ეს თანხები სრულად ამოღებადია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება 609,559 ლარის ოდენობის ნაღდი ფულის ნაშთისგან ბანკში (2020 წ.: 331,249 ლარი), რომელიც განთავსებულია პროცენტიან მიმდინარე ანგარიშებზე ქართულ კომერციულ ბანკებში.

ქართულ ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებზე 2021 წელს მიღებული საპროცენტო შემოსავალი 21,171 ლარს შეადგენს (2020 წ.: 11,275 ლარი).

12. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მთლიანი საწესდებო კაპიტალი 2021 წლისა და 2020 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 12,600 ლარს შეადგენდა. საწესდებო კაპიტალი სრულად იყო შეტანილი კაპიტალში ფულადი სახსრების სახით.

დივიდენდები

2021 წელსა და 2020 წელს დივიდენდები არ გამოცხადებულა.

გადაფასების ნამეტი

2021 წლის ნოემბერში კომპანიამ გადააფასა თავისი მიწა და, აფასების შედეგად, აღრიცხა 3,895,395 ლარის გადაფასების ნამეტი.

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რათა დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები და მოიპოვოს ბაზრის მონაწილეების ნდობა. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლების და მოგების მუდმივი მონიტორინგით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც, ძირითადად, კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ზომების მიღებით კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას ისახავს მიზნად.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვისადმი კომპანიის მიდგომა არ შეცვლილა.

კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული რამე გარე მოთხოვნები.

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2021	2020
ლოტიკასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დავალიანება	77,088	–
გადასახდელი კომუნალური ხარჯები	37,248	–
დავალიანება დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-16 შენიშვნა)	22,544	24,980
სხვა კრედიტორული დავალიანება	59,000	65,087
კრედიტორული დავალიანება, სულ	195,880	90,067

14. ნასესხები სახსრები

	2021	2020
მიღებული სესხები - გრძელვადიანი ნაწილი	–	375,614
მიღებული სესხები - მოკლევადიანი ნაწილი	618,466	278,591
ნასესხები სახსრები, სულ	618,466	654,205

2020 წლის 7 ივლისს კომპანიამ მიიღო 200 ათასი აშშ დოლარის (610,640 ლარი) საკრედიტო ხაზი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან, რომლის დაფარვის ვადა იწურება 2023 წლის დეკემბერში. საკრედიტო ხაზის დაფარვის პირობები ითვალისწინებს ექვსთვიან საშეღავათო ვადას ძირითადი თანხის შენატანებისთვის. 2021 წელს საშეღავათო ვადა გაგრძელდა დამატებით 12 თვით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სესხიდან აითვისა 618,466 ლარი, ხოლო 929,280 ლარი აუთვისებელი სახსრებია (2020 წლის 31 დეკემბერი: 654,205 ლარია ათვისებული, 982,980 ლარი აუთვისებელი ნასესხები სახსრებია).

ნასესხები სახსრების მოძრაობა ასეთია:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	654,205	–
ნასესხები სახსრების მიღება	–	610,000
საპროცენტო ხარჯი	44,990	21,780
დაკავშირებულ მხარესთან გაქვითული პროცენტი	(44,990)	(21,780)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	(35,739)	44,205
31 დეკემბრის მდგომარეობით	618,466	654,205

ფინანსური ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	44,990	21,780
სხვა ფინანსური ხარჯი	5,050	3,849
სულ	50,040	25,629

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

ა) სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების წინასწარი შეფასების მიზანია იმ მიახლოებული თანხის მიღება, რადაც ფინანსური ინსტრუმენტი გადაიცვლებოდა ინფორმირებულ და მოსურნე მხარეებს შორის გაშლილი ხელის პრინციპით შემდგარი გარიგებისას. თუმცა, განუსაზღვრელობისა და სუბიექტური განსჯის გამოყენების გამო, სამართლიანი ღირებულება არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც უტყუარად რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვისა თუ ვალდებულებების დაფარვის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (თორმეტ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ვინაიდან ეს თანხები მიმდინარე პერიოდშია ნასესხები.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული.

ბ) ფინანსური რისკის მართვა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები შედგება სავაჭრო დებიტორული დავალიანებისგან, ადგილობრივ კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან და ნასესხები სახსრებისგან.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ბ) ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს და, ძირითადად, წარმოიშობა მომხმარებლების მიმართ კომპანიის მოთხოვნებიდან და ადგილობრივ კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას და ასე გამოიყურება:

	2021	2020
ნადდი ფულის ნაშთი ბანკში	609,559	331,249
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	559,733	480,094
ფინანსური აქტივები, სულ	1,169,292	811,343

მოგებაში ან ზარალში აღიარებულ ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების ზარალი 2021 წლისა და 2020 წლის განმავლობაში ნულს გაუტოლდა ქვემოაღნიშნული მიზეზების გამო.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ინარჩუნებს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს სამ ქართულ ბანკში. ოთხივე მათგანს აქვს მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი „B“, რომელიც მინიჭებულია სარეიტინგო სააგენტო „Fitch“-ისგან და S&P Global Ratings-ისგან. ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა კონტრაჰენტი შეასრულებს თავის ვალდებულებებს და, შესაბამისად, მიაჩნია, რომ თავის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი კონტრაჰენტების გარე საკრედიტო რეიტინგების მიხედვით.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გაუფასურება შეფასდა 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს დავალიანების ხანმოკლე ვადებს. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ უღიარებია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

კლიენტის საკრედიტო რისკი იმართება კომპანიის მიერ დანერგილი კლიენტის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკით, პროცედურებითა და კონტროლის მექანიზმებით. კლიენტის საკრედიტო ზარისხი ფასდება შიდა საკრედიტო რეიტინგის შეფასების სისტემით და ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები განისაზღვრება მხოლოდ მსხვილი მუდმივი კლიენტებისთვის მათი კრედიტუნარიანობის შეფასების და ამ კლიენტთან კომპანიის გამოცდილების მიხედვით, ასევე კლიენტის მხრიდან შესაბამისი საზღვაო ხაზის გამოყენებით საკონტინენტო მოცულობების რეგულარული გადაზიდვის გათვალისწინებით. საკრედიტო ლიმიტები ყოველწლიურად გადაიხედება კლიენტის ფაქტობრივი თანამშრომლობის მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად შეიცვლება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ბ) ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ უღიარებია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რამე რეზერვი ინდივიდუალურად გაუფასურებულ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით. საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღება, ძირითადად, 30 დღეში ხდება. დებიტორული დავალიანების ნაშთი არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღებისთვის და შემდგომში სრულად იქნა ამოღებული.

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა შემდგომი დაგეგმვა იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანია ზრუნავს იმაზე, რომ ჰქონდეს საკმარისი მოთხოვნამდე ფულადი სახსრები, რათა დააკმაყოფილოს მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯები სამთვლიანი ვადის განმავლობაში, ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ჩათვლით. ეს გამორიცხავს ისეთი უკიდურესი გარემოებების პოტენციურ გავლენას, რომელთა პროგნოზირება ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგალითად, სტიქიურ უბედურებებს.

კომპანია ვადიანობის ცხრილებს იყენებს თავისი ლიკვიდურობის რისკის სამართავად.

ფინანსური ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან ნაკლები	სულ
ნასესხები სახსრები	53,605	53,605	536,050	–	643,260
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	195,880	–	–	–	195,880
ფინანსური ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან ნაკლები	სულ
ნასესხები სახსრები	26,303	52,606	236,279	394,548	710,186
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	90,067	–	–	–	90,067

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ბ) ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. საპროცენტო განაკვეთის რისკი კომპანიას არ ეხება, რადგან მას არ აქვს ცვალებადპროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას და ნასესხებ სახსრებს.

კომპანიის სავალუტო რისკები ასეთია:

	აშშ დოლარში გამოხატული 31 დეკემბერი, 2021 წ.	აშშ დოლარში გამოხატული 31 დეკემბერი, 2020 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	540,454	476,637
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	589,060	117,449
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(89,246)	–
ნასესხები სახსრები	(618,466)	(654,205)
რისკის ნეტო ოდენობა	421,802	(60,119)

აშშ დოლართან მიმართებით ლარის გამყარება/გაუფასურება 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგებას ან ზარალს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემცირებდა):

	გამყარება	გაუფასურება
31 დეკემბერი, 2021 წ.		
აშშ დოლარი (10%-იანი ცვლილება)	42,180	(42,180)
31 დეკემბერი, 2020 წ.		
აშშ დოლარი (10%-იანი ცვლილება)	(6,011)	6,011

შპს „მედლოგ ფოთი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. დაკავშირებული მხარეები

გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლისა და 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა და 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებული მხარეების მიმართ დავალიანების ნაშთები:

	2021				2020			
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები				საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები			
	შპს		შპს		შპს		შპს	
	შპს „ემესი ჯორჯია“	„მედლოგ ჯორჯია“	MSC Central Asia LLP	„ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯია“	შპს „ემესი ჯორჯია“	„მედლოგ ჯორჯია“	Medlog Lojistik Gemicilik turizm AS	„ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯია“
ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით								
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	714	219,707	23,540	14,724	10,385	360,427	–	8,622
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	22,544	–	–	–	24,980	–	–
ნასესხები სახსრები (მე-14 შენიშვნა)	–	618,466	–	–	–	654,205	–	–
გარიგებები 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის								
შემოსავალი გაწეული სატერმინალო მომსახურებიდან	2,164	2,970,596	59,029	57,930	10,550	3,247,052	–	17,661
ძირითადი საშუალებების შესყიდვები	3,911	–	–	–	991	70,905	628,281	–
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	10,000	570	–	–	–	–	–	–
საიჯარო შემოსავალი	–	58,361	–	–	–	14,825	–	–
საიჯარო ხარჯი	–	–	–	–	–	12,026	–	–
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	165,155	58,066	–	–	–	60,000	–	–
საპროცენტო ხარჯები	–	44,990	–	–	–	21,780	–	–

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ 2021 წლის განმავლობაში ანაზღაურების სახით მიიღო 133,370 ლარი (2020 წ.: 160,443 ლარი), რაც აისახა ადმინისტრაციული ხარჯებში (მე-7 შენიშვნა).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი

ქვემოთ მოცემულია მოგებაში და ზარალში აღიარებული დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი:

	2021	2020
ასახული გაწეული მომსახურების თვითღირებულებაში (მე-6 შენიშვნა)	1,518,291	1,259,324
ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-7 შენიშვნა)	454,302	366,063
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი, სულ	1,972,593	1,625,387

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე დაეცა რუსეთში ფასიანი ქაღალდების ღირებულება. იგივე შეეხო სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ფასიან ქაღალდებსაც. სიტუაცია ჯერ კიდევ იცვლება, მაგრამ ჰუმანიტარული კრიზისი უკვე დამდგარია და უკრაინამ, რუსეთმა და დანარჩენმა მსოფლიომ უკვე განიცადეს უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რთულია კომპანიის საქმიანობაზე მისი გავლენის სარწმუნოდ შეფასება, რადგან გაურკვეველია ეკონომიკაზე მისი გავლენის მასშტაბი. კომპანიის ხელმძღვანელობა შექმნილ ვითარებაში ეკონომიკურ სიტუაციას თვალს ადევნებს. კომპანია უკრაინაში მიმდინარე ომს საბალანსო უწყისის შედგენის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

2022 წლის მაისის განმავლობაში კომპანიამ სასესხო ხელშეკრულება გააფორმა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან 2,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომლის დაფარვის ვადა იწურება 2029 წლის დეკემბერში და აქვს ერთწლიანი საშეღავათო პერიოდი ძირითადი შენატანებისთვის. სესხის პირველი ტრანში, 1,6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, მიღებულია 2022 წლის სექტემბერში კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად.

შპს „მედიკალ ფოთი“
მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიშგების შესავალი


ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მმართველობით ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანად და ზუსტად წარმოდგენას. ანგარიში მომზადებულია საბჭოსთან კოორდინირებული შიდა მიმოხილვის და კონტროლის პროცესების შესაბამისად. ანგარიში აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.



მუხრან დეკანაშვილი
მმართველი დირექტორი
შპს „მედლოგ ფოთი“



მარიამ სულაძე
ფინანსური მენეჯერი
შპს „მედლოგ ფოთი“

მმართველობითი ანგარიშგების შესავალი

ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მმართველობით ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანად და ზუსტად წარმოდგენას. ანგარიში მომზადებულია საბჭოსთან კოორდინირებული შიდა მიმოხილვის და კონტროლის პროცესების შესაბამისად. ანგარიში აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

მუხრან დეკანაძე
მმართველი დირექტორი
შპს „მედლოგ ფოთი“

მარიამ სულაძე
ფინანსური მენეჯერი
შპს „მედლოგ ფოთი“

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის მიმოხილვა, საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „მედლოგ ფოთი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 1996 წლის 13 მარტს შპს „ბარვილ ჯორჯიას“ სახელით და საიდენტიფიკაციო ნომრით: 215083139. 2019 წლის 27 დეკემბერს კომპანიის იურიდიული სახელწოდება გადაკეთდა და გახდა შპს „მედლოგ ფოთი“.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ტაბიძის ქ.3, ფოთი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტერმინალის, კონტეინერების დამუშავების (დატვირთვა, ჩამოცლა) და შენახვის მომსახურების გაწევა. კომპანია ფლობს და მართავს 6.94 ჰექტარი ფართობის მქონე ტერმინალის სივრცეს, რომელიც ფოთის პორტის მთავარი შესასვლელიდან 200 მეტრში მდებარეობს, რის შედეგადაც არის პორტთან ყველაზე ახლოს მდებარე ტერმინალი.

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციებს ფლობს შპს „მედლოგ დეველოპმენტ ჯორჯია“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). მშობელი კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა:

„მედლოგ ეს.ეი.“ (შვეიცარია)	50%
შპს „ინვეკო“ (საქართველო)	50%
	100%

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო „MSC Mediterranean Shipping Company SA“ (ხმელთაშუაზღვის გადაზიდვის კომპანია).

მშობელმა კომპანიამ კომპანიაში წილი შეისყიდა 2019 წლის 27 დეკემბერს შპს „Barwil Agencies A.S.-ისგან“ (ნორვეგია) (50%) და TEE and TEE Shipping Limited-ისგან (დიდი ბრიტანეთი) (50%).

კომპანიას საქართველოში ორი ოფისი აქვს - თბილისსა და ფოთში. მთავარი საოპერაციო ოფისი მდებარეობს ფოთში, ხოლო კომერციულ და მმართველობით ფუნქციებს ასრულებს თბილისში მდებარე სათავო ოფისი. 2021 წლის ბოლოსთვის კომპანიაში სრულ განაკვეთზე დასაქმებული იყო სულ 86 თანამშრომელი.

მთავარი ბაზრები და განვითარების გეგმები

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მშპ-ის ზრდის, 2016 წლიდან რეგიონის მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების და გეოპოლიტიკური მიზეზების გამო, საქართველოს პორტებში დატვირთვა-გადმოცლის მთლიანი კონტეინერების მოცულობები (TEU) 2016-2019 წლებში იზრდებოდა; 2019 წელს სავსე კონტეინერების სრული მოცულობები, 2018 წელთან შედარებით (2018 წელს 15%-იანი წლიური ზრდის შემდეგ) 39.5%,-ით გაიზარდა. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში იმპორტზე მოთხოვნის გაზრდით, რომლის დაკმაყოფილებაც საქართველოს პორტების მეშვეობით ხდება; კოვიდ-19-თან დაკავშირებული პრობლემების გამო სავსე კონტეინერების სრული მოცულობები 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, შემცირდა 16%-ით და კიდევ 13%-ით 2021 წელს, რაც, სავარაუდოდ, მომდევნო რამდენიმე წელიწადში გამოსწორდება, იმპორტირებულ ტვირთებზე რეგიონის დიდი დამოკიდებულების გამო.

2021 წლისთვის შპს „მედლოგ ფოთი“ იყო ექსკლუზიური საკონტეინერო სატერმინალო მომსახურების შემსრულებელი შპს „მედლოგ ჯორჯიასთვის“, რომელიც თავის მხრივ ემსახურება შპს „ემესი ჯორჯიას“ - საზღვაო გადაზიდვის, ადგილობრივი სატერმინალო, ინტერმოდალური, ლოგისტიკური და სხვადასხვა ადმინისტრაციული სერვისებით. 2021 წლისთვის საქართველოს პორტებში გადაადგილებული სავსე კონტეინერების რაოდენობა (TEU), რეგიონის ბაზრის საერთო მაჩვენებელთან შედარებით, იმავე პროცენტულობით შემცირდა, რამაც განაპირობა შპს „მედლოგ ფოთის“ საკონტეინერო მოცულობების შემცირება;

საკონტეინერო სატერმინალო მომსახურების გარდა, შპს მედლოგ ფოთი კლიენტებს ნაყარი ტვირთის გადაცლის მომსახურებასაც სთავაზობს. ბოლო ათწლეულების მანძილზე მკვეთრად გამოიკვეთა ტრენდი რომ მსოფლიო ბაზარზე მოძრავი ტვირთების უმრავლესობა კონტეინერდება. ეს ტენდენცია დაირღვა 2020 წელს კოვიდის დაწყების შემდეგ, როდესაც მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაბამისად გაიზარდა საკონტეინერო გადაზიდვებზე ტარიფებიც. რა თქმა უნდა გაიზარდა ტარიფები ნაყარი ტვირთების გადამზიდავ გემებზეც, მაგრამ არა იმავე მაჩვენებლით როგორც კონტეინერებზე. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ნაყარი ტვირთების მოცულობების ზრდას. ჩინეთის მიერ გამკაცრებული კოვიდ რეგულაციების გამო, ცენტრალური აზიიდან პირდაპირ ტვირთებზე ჩინეთში ხმელეთით გადაზიდვა ფაქტიურად შეწყდა, შესაბამისად ერთ-ერთი ალტერნატივა რომ ცენტრალური აზიის წარმოშობის ტვირთი გაეტარებინა გახდა აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით ახალი კორიდორი. აგრეთვე, საერთაშორისო ბაზარზე გავლენა იქონია თურქმენეთის ჩაკეტვამ სახმელეთო ტრანსპორტისთვის, რამაც გაზარდა ტვირთების გადაზიდვა კასპიის ზღვაზე არსებული პორტ თურქმენბაშის შემდეგ აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით. ავღანეთში განვითარებული სიტუაციის გამო, ტვირთის უსაფრთხოების დაცვის გამო აღარ იყო მიმზიდველი ეს მიმართულებაც ხოლო, უკვე დიდი ხნის წინ დაწყებული სანქციების ფონზე, ირანი უკვე აღარ განიხილება კორიდორად ამ რეგიონისთვის. ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გამო 2021 წელს შპს მედლოგ ფოთის მიერ გაწეული ნაყარი ტვირთების გადაცლების მომსახურება საგრძნობლად გაიზარდა. კომპანია კვლავ ელოდება ნაყარი ტვირთების მოცულობის ზრდას 2022 წლის განმავლობაში.

მომხმარებლებისთვის მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და საოპერაციო ეფექტიანობის გასაზრდელად, ბოლო წლებში შპს მედლოგ ფოთმა მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო ტერმინალის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად;

სისტემური განახლებები კომპანიის შიგნითაც იგეგმება, რათა შიდა საოპერაციო პროცესებისა და დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება და ნაწილობრივი ავტომატიზაცია მოხდეს, რაც ასევე უზრუნველყოფს მომავალში მომხმარებლების უფრო სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას.

კომპანიის განვითარების მიმართულებას, ძირითადად, განსაზღვრავს მომხმარებელთა მოთხოვნა მომსახურების გარკვეული ტიპის მომსახურებებზე. კომპანია მიზნად ისახავს ისეთი მომსახურების შეთავაზებას, რომლებიც მისადაგებული იქნება მომხმარებლის კონკრეტულ მოთხოვნებთან, მათთან ახლო კომუნიკაციის მეშვეობით, ასევე კონკურენტული ტარიფებისა თუ საოპერაციო დროის დაწესებით და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული მომსახურების გაწევით.

საქმიანობის მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს „მედლოგ ფოთის“ ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს კომპანიის ზრდის გაზომვად მაჩვენებლებს და მისი საოპერაციო ეფექტურობის განმსაზღვრელ კოეფიციენტებს;

კომპანია სტაბილური დამსაქმებელია, რომელმაც თანამშრომლებისათვის სამუშაო ადგილების შენარჩუნება მოახერხა კოვიდის პერიოდშიც. თანამშრომელთა ბრუნვა წელიწადში 9%-ს არ აღემატება, რაც, თავისთავად, თანამშრომელთა კმაყოფილებაზე მეტყველებს.

მთავარი ფინანსური საზომი, რომლის მეშვეობითაც ხელმძღვანელობა კომპანიის ზრდას და საოპერაციო ეფექტურობას აფასებს, არის EBITDA (შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე), რომელიც 2021 წლისთვის 1,165 ათას ლარს შეადგენს (2020 წ.: 1,383 ათასი ლარი). კიდევ ერთი ფინანსური საზომი, რომლის მეშვეობითაც ხდება ფულადი ნაკადების მართვის ეფექტურობის მონიტორინგი, არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან; მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2021 წლის ბოლოსთვის 1.60-ს გაუტოლდა (2020 წ.: 2.96). მომავალ წელს კომპანია EBITDA-ს 10%-ით გაზრდას, ხოლო მიმდინარე ლიკვიდურობის 1.5-ზე მაღალი კოეფიციენტის შენარჩუნებას აპირებს.

ყველა დანარჩენი ფინანსური ინფორმაცია, რისკების და განუსაზღვრელობის ჩათვლით, წარმოდგენილია 2021 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.